საქმე №2/3787-06

## თბილისის საქალაქო სასამართლო

# გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

**საქართველოს სახელით**

**გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე**

**29 ოქტომბერი, 2008 წელი** **ქ. თბილისი**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის**
**მოსამართლე: სოფიო მაჭავარიანი**

***ზეპირი მოსმენის გარეშე:*** განიხილა შპს „დასის“ მიმართ დაწყებული გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შეწყვეტის საკითხი.

**გამოარკვია:**

2005 წლის 7 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას განცხადებით მომართა შპს „დასის“ წარმომადგენელმა ალექსანდრე გოზალიშვილმა და მოითხოვა შპს „დასის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ აუდიტორული დასკვნის თანახმად, საზოგადოების ვალდებულებები (პასივი) შეადგენს 69 415 ლარს, ხოლო აქტივების ღირებულება 849 ლარით. შესაბამისად, სახეზეა საზოგადოების ზედავალიანება. გარდა ამისა, ამავე აუდიტორული დასკვნის თანახმად, საზოგადოების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულია ნაღდი ფული მხოლოდ 10 ლარის ოდენობით, რაც შეეხება ქონებას, საზოგადოებას ქონება საერთოდ არ გააჩნია. შესაბამისად, საზოგადოება არის გადახდისუუნარო. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 12 ოქტომბერის განჩინებით განცხადება წარმოებაში იქნა მიღებული.

უპირველესყოვლისა, ნიშანდობლივია, რომ 2005 წელს განცხადების შემოტანისას მოქმედებდა „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, რომელიც დღეის მდგომარეობით გაუქმებულია და ანალოგიური საკითხების დარეგულირება ხდება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონით დადგენილი წესებით.

სასამართლომ შეისწავლა საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ შპს „დასის“ მიმართ გადახდისუუნარობის თაობაზე დაწყებული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის თანახმად, ამ კანონის მიზანია მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაზომიერი დაცვა. შესაძლებლობის შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, იმ ძირითად მიზანზე, რომლითაც მოტივირებულია ამ კანონის მიღება, კერძოდ, მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაზომიერი დაცვა და მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. ბუნებრივია, რომ მითითებულ ნორმაში ჩამოთვლილი მიზნების განხორციელება და შესაბამისად, ამ კანონის რეალიზება დამოკიდებულია საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. თუ საწარმოს რთული ფინანსური მდგომარეობა აქვს, საფრთხე ემუქრება კრედიტორის ინტერესებს, რაც თავისთავად გამორიცხავს, როგორც ინტერესთა თანაზომიერ დაცვას, ასევე ბუნებრივია ვერ განხორციელდება მოვალის ქონების რეალიზაცია და მიღებული თანხების განაწილება. მოცემულ შემთხვევაში, **ცალსახად დგინდება, რომ შპს „დასს“ არ გააჩნია ქონება, რაც თავისთავად გამორიცხავს ქონების** რეალიზაციას და კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. სასამართლო განმარტავს, რომ კანონში მოცემული ნორმები ემსახურება ამ კანონის აღსრულებას. ამიტომ, მხოლოდ ის გარემოება, რომ კანონი ითვალისწინებს გადახდისუუნარო მოვალის მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას, ვერ იქნება საკმარისი ასეთი წარმოების დაწყებისათვის, თუ იმთავითვე აშკარაა, რომ მოვალის ფინანსური მდგომარეობა გამორიცხავს „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონით დადგენილი მიზნების მიღწევას.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის საქმის განხილვისას გამოიყენება ამავე კანონით დადგენილი სპეციალური საპროცესო ნორმები. თუ ეს კანონი არ შეიცავს შესაბამისი საკითხის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმას, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმართ გამოიყენებასაქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები. კანონის ანალოგიის გამოყენება სეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება ამ კანონის მიზნებს.

შესაბამისად, სასამართლო ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის ანალოგიით და გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებობის პირობად მიიჩნევს იურიდიულ ინტერესის არსებობას, რაც „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონის პირველი მუხლიდან გამომდინარეობს, სადაც კანონის მიზნებია განსაზღვრული. მოცემულ

შემთხვევაში, არ არსებობს არც მოვალის და არც კრედიტორების იურიდიული ინტერესი გაკოტრების წარმოების გახსნისათვის, რადგან იმთავითვე ცხადია, რომ მოცემულ წარმოებას შედეგი ვერ მოჰყვება ვერც ერთი სუბიექტის მიმართ, ვერ დაიფარება თუნაც ის ძირითადი ხარჯები, რაც აუცილებელია ხსენებული კანონის მიხედვით, კერძოდ, საპროცესო ხარჯები და მეურვის გასამრჯელო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არ არსებობს სადაო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, სასამართლო ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდა ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით თუ, როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს.

ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს არანაირი წინაპირობა და სამართლებრივი ინტერესი გაკოტრების საქმის წარმოებისათვის, რის გამოც შპს „დასის" მიმართ დაწყებული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

## სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" კანონის პირველი, მე-5, მე-40 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 180-ე 187-ე მუხლებით და

## დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „დასის" მიმართ დაწყებული საქმის წარმოება შეწყდეს;
2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მეშვეობით ამ განჩინების მხარისათვის ჩაბარებიდან 12 დღის ვადაში;

**მოსამართლე:** **სოფიო მაჭავარიანი**

ასლი ეროვნული ნოტარიუს
ხელმოწერილი მიმავალი: თ. [illegible]